

აღმოსავლეთ პარტნიორობის შედეგები 2020 წლის შემდეგ ევროკავშირის  
სამი ასოცირებული სახელმწიფოსთვის - საქართველო,  
მოლდოვა და უკრაინა

გამოქვეყნების თარიღი: 30 ოქტომბერი 2020

**კონტექსტი**

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკამ, რომელსაც ოფიციალურად საფუძველი 2009 წელს ჩაეყარა, ამ დრომდე რამდენიმე წარმატებულ შედეგს მიაღწია. ევროკავშირმა საქართველოსთან, მოლდოვის რესპუბლიკასა (შემდგომში მოლდოვა) და უკრაინასთან ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებებს, დაიწყო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცეების ჩამოყალიბება და ამოქმედა უვიზო მიმოსვლის რეჟიმები<sup>1</sup>. ის აღნიშნულ ქვეყნებს ასევე დაეხმარა ეკონომიკების მოდერნიზებაში, სავაჭრო მიმართულებების დივერსიფიცირებაში, ენერგო უსაფრთხოების გაუმჯობესებასა და სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური პლურალიზმის გაძლიერებაში რეგიონის მასშტაბით. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური, გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების სიტუაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში კვლავ არამდგრადი და ცვალებადია. ყოველივე ამას კიდევ უფრო ართულებს COVID-19-ის პანდემია და მისი ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედება. მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, ევროკავშირმა განგრძობითად დაუჭირა მხარი ურთიერთობების გაღრმავებას აღმოსავლეთ პარტნიორობის იმ სამი ასოცირებულ სახელმწიფოსთან, რომლებიც ამჟამად ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციას ახორციელებენ. თუმცა, მიმდინარე პროგრესის კონსოლიდაცია და შემდეგი 5-10 წლისთვის ახალი ამბიციური მიზნების ჩამოყალიბება მოითხოვს შემდგომ სტაბილურ ძალისხმევას როგორც ევროკავშირის, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი სახელმწიფოების მხრიდან.

გასული ათწლეულის განმავლობაში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი სახელმწიფოსთვის შემდეგი 5-10 წლის განმავლობაში მისაღწევი ძირითადი შედეგები უნდა განვითარდეს შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების მიმართულებით:

- ევროკავშირმა უნდა გამოიყენოს 2021 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი იმისთვის, რომ **კიდევ ერთხელ დაადასტუროს მკაფიო მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი ასოცირებული სახელმწიფოს ევროპული მისწრაფებების მიმართ**, თანახმად ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლისა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც იცავს ევროკავშირის დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სტანდარტებს, შეუძლია განაცხადის გაკეთება ევროკავშირში გასაწევრიანებლად.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამმა ასოცირებულმა სახელმწიფომ უფრო მეტად უნდა გააძლიეროს სასურველ პოლიტიკასა და სისტემურ განვითარებასთან დაკავშირებული სტრატეგიული დიალოგი ევროკავშირთან. **აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული სახელმწიფოები მიწვეული უნდა იყვნენ ევროპული საბჭოსა და ევროკავშირის სამუშაო ჯგუფების შერჩეულ შეხვედრებზე.**

<sup>1</sup> უკრაინა, მოლდოვა და საქართველო მოხსენიებული იქნება, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი ასოცირებული სახელმწიფო.

- აღმოსავლეთ პარტნიორობის არსებული მიღწევების კონსოლიდაცია და ასოცირების შესახებ შეთანხმების სრული იმპლემენტაციისა და საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ევროკავშირის ერთიანი ბაზრის სისტემაში ყოველმხრივი ინტეგრაციისკენ სწრაფვა.
- გაძლიერებული ძალისხმევა დემოკრატიული ინსტიტუტების, კანონის უზენაესობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, საზოგადოებების მისწრაფებების შესაბამისად.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის გავრცობა აქამდე ნაკლებად დაფარულ პოლიტიკის სფეროებზე, რომლებიც საკვანძო მნიშვნელობისაა აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების მომავლისთვის, როგორებიცაა უსაფრთხოება და გარემოს დაცვა.
- COVID-19-ის პანდემიის დროულ და გადაუდებელ პასუხად, ევროკავშირმა 2020 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებისთვის გამოყო [1 მილიარდ ევროზე მეტი](#) ევროკავშირის „[გუნდი ევროპა](#)“ მხარდაჭერის პაკეტის ფარგლებში. ევროკავშირმა უნდა განიხილოს მოქნილი, სპეციალიზირებული და მრავალმხრივი ინვესტიციისა და ეკონომიკური გაჯანსაღების გეგმა აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებისთვის.

მაშინ, როდესაც საჭირო რეფორმების იმპლემენტაცია მოითხოვს თანმიმდევრულ და მტკიცე პოლიტიკურ ნებას პარტნიორი სახელმწიფოების რეფორმების მხარდაჭერი ელიტების მხრიდან, შეუცვლელია ევროკავშირის როლი აღნიშნული რეფორმების მხარდაჭერაში ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტიმულების შეთავაზების, კანონმდებლობის სამუშაო ვერსიის შეფასებისა და ფუნქციური ინსტიტუტების ჩამოყალიბების მხარდაჭერის გზით. ევროპეიზაცია წარმოადგენს ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული სახელმწიფოების საერთო სტრატეგიულ მიზანს.

### აღმოსავლეთ პარტნიორობის ძირითადი შედეგები 2020 წლის შემდეგ:

#### 1. უსაფრთხოება: უფრო ძლიერი, მეტად გეოპოლიტიკური ევროპა

- ჩვენ მივესალმებით აღმოსავლეთ პარტნიორობის უსაფრთხოების შეთანხმების ამოქმედებას: ინიციატივა, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის ფონდებსა და ინსტიტუტებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობებთან ერთად, რომლებიც მზად არიან ევროკავშირის სამეზობლოსთან უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის გასაფართოვებლად. ამგვარი ინიციატივა ღია იქნება მხოლოდ დაინტერესებული და შესაბამისი მზაობის მქონე აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებისთვის.
- ევროკავშირის ინსტიტუტების მხარდაჭერით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შესაძლებლობების განვითარების პროგრამების, საფრთხეების შესახებ სტრუქტურული კოორდინაციის, ტექნიკური მხარდაჭერისა (განსაკუთრებით საზღვრებსშორისი რადიოელექტრული ინფორმაცია (SIGINT)) და სამხედრო დაზვერვის გაუმჯობესება აღნიშნული სერვისების სიდრმისეული რეფორმებისთვის.
- აღმოსავლეთ სამეზობლოს ინფორმაციული მხარდაჭერისა და თანამშრომლობის ჯგუფის შექმნა ევროკავშირის ევროპულ საგარეო ქმედებათა სამსახურის ფარგლებში, რომელიც იფუნქციონირებს როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების დახმარების კოორდინაციის ჯგუფი (როგორც მხარდაჭერის ჯგუფი), თუმცა ამავდროულად ის ხელს შეუწყობს ინფორმაციის გაცვლას ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის. მნიშვნელოვანი იქნება ინფორმაციული სამეკავშირეო ოფისების გახსნა თბილისსა და კიშინიოვში.
- ასევე საჭიროა ყურადღების გამახვილება კიბერუსაფრთხოების სფეროზე. აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა სახელმწიფომ გააუმჯობესა ან შექმნა ახალი კიბერუსაფრთხოების ინსტიტუტები (კიბერინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი - CERT, კიბერექსპერტიზის

დეპარტამენტები და სპეციალიზებული დეპარტამენტები პოლიციისა და დაზვერვის სააგენტოების შიგნით) გასული წლების განმავლობაში. თუმცა, აღნიშნულ ინსტიტუტებს კვლავ არ გააჩნიათ საკმარისი რესურსები. ევროკავშირმა უნდა ითანამშრომლოს აღნიშნულ ინსტიტუტებთან და დაეხმაროს მათ შესაძლებლობების განვითარებაში. ამგვარი თანამშრომლობა შესაძლოა მოიცავდეს **ორმხრივ ინფორმაციის გაზიარებასა და კიბერუსაფრთხეების შესწავლას, დახმარებას სამთავრობო კომუნიკაციებისა და კრიტიკული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით და ერთიან კიბერსწავლას**. ამ მიმართულებით ჩვენ მივესალმებით [ევროკავშირსა და უკრაინას შორის კიბერდიალოგის](#) ჩამოყალიბებას და მოვუწოდებთ ევროკავშირს საქართველოსა და მოლდოვაში მსგავსი პლატფორმების შექმნისკენ.

- **ევროკავშირმა უნდა გააძლიეროს და გააღმავლოს უსაფრთხოების დიალოგის ფორმატი საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან.** ევროკავშირმა ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის მისია საქართველოსა და უკრაინაში უნდა შეათავსოს ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ოპერაციებთან და მეტად დაუჭიროს მხარი ევროკავშირის საზღვრის დახმარების მისიას (EUBAM) მოლდოვასა და უკრაინაში. ასევე უნდა ჩამოყალიბდეს ევროკავშირის საკონსულტაციო მისია (EUAM) მოლდოვაში. ყოველივე ეს გაზრდის ევროკავშირის, როგორც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური აქტორის პრესტიჟს და გააძლიერებს ადგილობრივი საზოგადოებების მედეგობასა და რისკების შემცირების შესაძლებლობებს.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი დაინტერესებული სახელმწიფოებისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ იმუშაონ ევროკავშირის **ქსელებისა და ინფორმაციის სააგენტოსა (ENISA)** და **ევროკავშირის სწრაფი განგაშის (EU Rapid Alert)** ფარგლებში, შესაძლოა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყოს ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის მიმართულებით.
- კონტრტერორიზმი კიდევ ერთი ისეთი სფეროა, სადაც ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს ფართო საერთო ინტერესები აქვთ. **იარაღის, სამხედრო აღჭურვილობისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონო შემენა/მოპოვების პრევენცია** (განსაკუთრებით სამხედრო მოქმედებათა ზონებში და არაკონტროლირებად ტერიტორიებზე), მათი საზღვრებს გარეთ კონტრაბანდის გზით გადაზიდვის პრევენცია, ტერორისტებისა და სხვა არაკანონიერი შეიარაღებული ჯგუფების დაფინანსებისა და მათი დავალებით ფულის გათეთრებისთვის ხელის შეშლა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებისთვის. ამ სახელმწიფოებს სჭირდებათ იმგვარი თანამშრომლობა, რომელიც ზემოთ, აღმოსავლეთ პარტნიორობის უსაფრთხოების შეთანხმების ქვეშ არის აღწერილი.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ზოგიერთი სახელმწიფო კვლავ დაინტერესებულია „**მუდმივი სტრუქტურული თანამშრომლობის**“ (PESCO) პროგრამაში მონაწილეობით. ამ მიმართულებით ევროკავშირის სამართლებრივი ბაზაში უნდა შევიდეს შესწორებები, რის შედეგადაც პარტნიორ სახელმწიფოებს შეეძლებათ პროგრამაში ჩართვა თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით.
- ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის შერჩეულ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ „**რბილი**“ **სამხედრო თანამშრომლობის განვითარება** - განათლების საკითხები, გადამზადება, ორგანიზაციული პროცედურები, სამხედრო დაგეგმვა, დოქტრინა, ტაქტიკები და ა.შ. ევროკავშირის წევრი ბევრი სახელმწიფო იქნება დაინტერესებული ამგვარი „რბილი თანამშრომლობის“ განვითარებით, მაგრამ აღნიშნული ძალისხმევა შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაიზარდოს იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი სამეზობლო დაფინანსების ნაწილს ამგვარი „რბილი“ თავდაცვითი თანამშრომლობისკენ მიმართავს: აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი სახელმწიფოების ოფიცრების მიღება ერასმუსის სამხედრო პროგრამაზე, მათთვის ევროკავშირის დაფინანსების შეთავაზება ორგანიზაციის მასშტაბით სამხედრო აკადემიებში განათლების მისაღებად კარიერის სხვადასხვა ეტაპზე და აღმოსავლეთ პარტნიორობის



სახელმწიფოებში სამხედრო განათლებისა და მომზადების გადასახედად ექსპერტების მივლინება შედარებით იაფ ზომებს წარმოადგენს.

- ევროკავშირის შეუძლია ყოველწლიურად 50 სტიპენდიის დაფინანსება საშუალო რგოლის უსაფრთხოების, თავდაცვის, დაზვერვისა და სასჯელაღსრულების პერსონალისთვის მოლდოვიდან, საქართველოდან და უკრაინიდან.
- ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სპეციალიზებული ერთიანი უსაფრთხოების პლატფორმის ამოქმედება, რომელიც მიმართული იქნება ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ. ევროკავშირმა მხარი უნდა დაუჭიროს აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ეფექტური ადრეული პრევენციული და ადრეული საპასუხო ეროვნული მექანიზმების განვითარებასა და იმპლემენტაციაში.

## 2. გარემოსდაცვითი და კლიმატის მედეგობა: მწვანე შეთანხმება აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრებისთვის

- ახალი მწვანე შეთანხმება ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ევროკავშირის, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი ასოცირებული სახელმწიფოსთვის. აღმოსავლეთ პარტნიორობა უნდა იყოს ამ ინიციატივის ნაწილი და უზრუნველყოს მისი წარმატებული იმპლემენტაცია სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა არასახელმწიფო აქტორების აქტიური მონაწილეობით.
- ევროკავშირმა უნდა წამოიწყოს და მხარი დაუჭიროს პროექტების სერიას, რომელიც ხელს შეუწყობს გარემოს, ამაღლებს ცნობიერებას გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ და გაზრდის ევროკავშირის ხილვადობას. ჩვენ გთავაზობთ ორ ამგვარ სქემას:
  - **ევრო-ველოსიპედი:** ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის გზით, ევროკავშირის შეუძლია ველოსიპედის გაზიარების სქემების შექმნის თანადაფინანსება აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეული სახელმწიფოს 5 ყველაზე დიდ ქალაქში. ველოსიპედები შესაძლოა იყოს ლურჯი ფერის ყვითელი ვარსკვლავებით და წარმოადგენდეს ევროკავშირის მხარდაჭერის სიმბოლოს ეკომეგობრული გადაადგილების მიმართ და ამავდროულად, ევროკავშირის თითქმის ყველგანმყოფ რეკლამას. ამასთან ერთად, მხარი უნდა დაუჭიროს ველოსიპედებისთვის უკეთესი ინფრასტრუქტურის შექმნას.
  - **ევრო-დამტენი:** მსგავსი მიდგომის გამოყენება ასევე შესაძლებელია აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების ყველაზე დიდ ქალაქებში ელექტრონული მანქანების დამტენების დამონტაჟებასთან დაკავშირებით, რომელიც მეტად ეკომეგობრულ მანქანებზე გადასვლის ხელშეწყობისკენ იქნება მიმართული. ევროკავშირის მიერ კიევში 300 (ლურჯი და ყვითელი), კიშინოვში და თბილისში კი 100-100 დამტენის დამონტაჟების დაფინანსება იქნება მკაფიოდ მწვანე და ინოვაციური იმპულსი. აღნიშნული დამტენების მზის ენერჯის დანადგარებთან დაკავშირება კიდევ უფრო დიდი წინადადგმული ნაბიჯი იქნება.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ გახდნენ განახლებადი ენერჯის წყარო: საქართველოს აქვს ჰიდროდინამიური ენერგოსადგურების კიდევ უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობა, ხოლო უკრაინასა და მოლდოვას (განსაკუთრებით კი უკრაინას) გააჩნიათ ბიოგაზის, მზის, ქარისა და წყალბადის ენერჯის წარმოების მნიშვნელოვანი პოტენციალი.
- ევროკავშირმა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამ ასოცირებულ და შესაბამისი მოტივაციის მქონე სახელმწიფოს უნდა მისცეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის წყალბადის სტრატეგიაში კლიმატურად ნეიტრალური ევროპისთვის და ევროპის სუფთა წყალბადის ალიანსში.
- ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული სახელმწიფოების მიერ ნახშირბადის სასაზღვრო რეგულირების მექანიზმთან დაკავშირებული საერთო მიდგომის ჩამოყალიბების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიდგომა იქნება მწვანე შეთანხმების ერთ-ერთი

საკვანძო ელემენტი, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი გავლენა სავაჭრო ურთიერთობებზე ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის.

- ამავდროულად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ზოგიერთი სახელმწიფო (განსაკუთრებით უკრაინა) მიზნად ისახავს ნახშირის მრეწველობისგან ჩამოშორებას, მაგრამ მათ არ გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება და მექანიზმები „უმტკივნეულო“ ცვლილების უზრუნველსაყოფად. ამგვარად, ნახშირის მრეწველობისგან განახლებად ენერჯიაზე გადასვლა მოითხოვს მხარდაჭერას ევროკავშირის მხრიდან.
- ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი უნდა იყოს ძალისხმევის გაორმაგება მწვანე ცვლილებების საჭიროების შესახებ განათლების მხარდასაჭერად და საზოგადოების ქცევითი მოდელების შეცვლა იმგვარად, რომ გაჩნდეს მოთხოვნა მწვანე პოლიტიკაზე. ამგვარად, ევროკავშირი უნდა კონცენტრირდეს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის მხარდაჭერასა და სკოლის სასწავლო პროგრამების „გამწვანების“ (გარემოსდაცვითი საკითხების ჩართვა პროგრამაში) მოთხოვნაზე.
- მწვანე დღის წესრიგის იმპლემენტაციასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტების სტრუქტურულ სისუსტეების გადასალახად, 2020 წლის შემდგომი შედეგები მიმართული უნდა იყოს ინსტიტუციური გაძლიერებისა და სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური მონაწილეობით გარემოსდაცვითი კანონმდებლობის უკეთესი იმპლემენტაციისა და მონიტორინგისკენ.

### 3. ანგარიშვალდებული ინსტიტუტები, სასამართლო რეფორმა და კანონის უზენაესობა

*რეფორმები აღნიშნულ სფეროებში მოითხოვს უფრო გონივრულ, ინდივიდუალურად მორგებულ და მიზნობრივ პირობითობის მექანიზმს ევროკავშირის მსგავსი საგარეო აქტორების მხრიდან*

- ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი დანართები, რომლებიც თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობას ეხება, უნდა გაუმჯობესდეს და გახდეს მეტად დეტალური.
- ახალი ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც ამჟამად განიხილება ევროკავშირის მიერ საქართველოსა და უკრაინასთან და ასევე, ევროკავშირი-უკრაინის ასოცირების დღის წესრიგის მომავალი შესწორებები დროულად უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი, რათა მათ ასახონ მეტად მიზნობრივი და სპეციალიზირებული ერთიანი მოკლე და საშუალოვადიანი პრიორიტეტები კარგი მმართველობის, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული რეფორმების მიმართულებით ეფექტური შედეგების მისაღწევად.

#### *ანგარიშვალდებული ინსტიტუტები*

- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი ასოცირებული სახელმწიფო კვლავ დგას პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირების გამოწვევის წინაშე. ევროკავშირმა ევროსაბჭოს მხარდაჭერით უნდა მართოს და მონიტორინგი გაუწიოს რეალურ და გაზომვად რეფორმებს დამოუკიდებელი და ანგარიშვალდებული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოსაყალიბებლად (მაგალითად, პროკურორის ოფისი, სხვა სასჯელაღსრულების ორგანოები და ანტიკორუფციული სააგენტოები). ამისთვის, ევროკავშირმა უნდა წარადგინოს მკაფიო სტანდარტები და უზრუნველყოს მათი იმპლემენტაციის რეგულარული შეფასება.
- ამგვარ შეფასებებს თან უნდა ახლდეს მეტი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა დადებითი შედეგების მქონე სახელმწიფოების მიმართ და ეკონომიკური და პოლიტიკური პირობითობა იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებსაც შეფერხებები აქვთ (მაგალითად, ფინანსური მხარდაჭერის გადანაწილება სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა არასახელმწიფო აქტორებზე). განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარლამენტის, როგორც ზედამხედველი ინსტიტუტის, გაძლიერებაზე მუშაობას.

### კანონის უზენაესობა

- ევროკავშირმა წევრ სახელმწიფოებში კანონის უზენაესობის მექანიზმების გასაძლიერებლად განავითარა ისეთი ახალი ინსტრუმენტები, როგორებიცაა ყოვლისმომცველი მართლმსაჯულების შეფასების ინდექსი და ანგარიშები კანონის უზენაესობის შესახებ ევროკავშირის მასშტაბით მიღწეული შედეგების მონიტორინგისთვის. შესაბამისად, დროული იქნება ევროკავშირის მხრიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებისთვის მართლმსაჯულების ინდექსი ან მართლმსაჯულების დაფების შექმნა, რომელიც ეფექტიანობისა და სამართლიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) დასავლეთ ბალკანეთის სამუშაო ჯგუფის მსგავსი იქნება. ის გაზომავს და მონიტორინგს გაუწევს მართლმსაჯულების სექტორში რეალურად არსებულ მდგომარეობას.
- ევროკავშირი უნდა დაეხმაროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებულ სახელმწიფოებს პრევენციული სამართლებრივი შემოწმებისა და თვითშეფასების განხორციელებაში იმისთვის, რომ მოხდეს ხარვეზების იდენტიფიცირება, ახალი ამბიციური პოლიტიკის ინტერვენციების ჩამოყალიბება და მათი დაკავშირება ევროკავშირის დაფინანსების მოქნილ, სპეციალიზირებულ და მიზნობრივ პირობითობასთან.
- არსებობს გაძლიერებული თანამშრომლობის საჭიროება ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების სასჯელადმსრულებელ სააგენტოებს შორის, განსაკუთრებით აქტივების აღდგენის, ფინანსური დანაშაულისა და მაღალი დონის კორუფციის სფეროებში. ასევე, საჭიროა გაფართოვდეს კრიპტოვალუტებთან დაკავშირებული თანამშრომლობის სამართლებრივი ჩარჩო და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამივე სახელმწიფოს სადავო ტერიტორიებზე კრიპტოვალუტის გზით გათეთრებული ფულით დაფინანსებული უკანონო და ჰიბრიდული აქტივობების მონიტორინგი. ვინაიდან ყოველივე ეს ხშირად გამოიყენება ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში მავნებლური ოპერაციების დასაფინანსებლად, რომლებიც დაკავშირებულია არჩევნებთან ან დეზინფორმაციასთან და საფუძველს აცლის ევროპული საზოგადოებების დემოკრატიულ პრინციპებს.
- ინსტიტუციური დიალოგის ინიცირება ახალ ევროპის საჯარო პროკურორის ოფისსა (EPPO) და აღმოსავლეთ პარტნიორობის თაღლითობის გამოძიების ორგანოებს შორის მაღალი დონის კორუფციის შემთხვევებისა და რეგიონისთვის გამოყოფილი ევროკავშირის დაფინანსების არამიზნობრივი ხარჯვის მიმართულებით.
- საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან დადებულ ასოცირების შესახებ შეთანხმებაში გამოხატული თაღლითობის წინააღმდეგ მიმართული თანამშრომლობის დებულებების პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენება. ევროპის კრიმინალთან ბრძოლის ოფისის (OLAF) ლეგალური კომპონენტის განახლება, რათა შესაძლებელი გახდეს ადგილზე შემოწმების ჩატარება და ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხების გამოყენების გადამოწმება.
- ევროკავშირს ასევე შეუძლია განიხილოს ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის შესაძლებლობა დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოების ჩამოსაყალიბებლად (უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს (NABU) მსგავსი) და შემდგომში ამ სააგენტოების თანამშრომლობის უზრუნველყოფა ევროპის კრიმინალთან ბრძოლის ოფისსა (OLAF) და ევროკავშირის სხვა შესაბამის სააგენტოებთან.
- ევროკავშირს შეუძლია სანქციების უფრო ეფექტურად გამოყენება კორუფციისა და კორუფციული საქმიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად, სავიზო აკრძალვებისა და იმ პიროვნებების ანგარიშების გაყინვის გზით, რომლებიც საფუძვლიანად არიან მიჩნეული ადამიანის უფლებების სერიოზულ დამრღვევებად.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში არსებობს ევროპის კრიმინალთან ბრძოლის ოფისის (OLAF) მსგავსი ორგანოს ჩამოყალიბების მაღალი საჭიროება. ევროკავშირი უნდა ჩაერთოს საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში არსებული იმ სისტემური თაღლითობების გამოძიებაში, რომლებიც ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოზეც ახდენენ გავლენას. ამის

უამრავი მაგალითი არსებობს, მათ შორის საბანკო სისტემებში შეღწევა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ფულის გათეთრების სქემები და ა.შ. შესაბამისად, ყოველივე ეს იქნებოდა დამატებითი მექანიზმი კავშირის გასაღრმავებლად.

- ევროკავშირის შეუძლია აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების დახმარება აქტივების აღდგენისკენ მიმართულ ძალისხმევაში, ეს განსაკუთრებით ეხება მოლდოვასა და უკრაინას, სადაც ქვეყნიდან გაქცეულმა ყოფილმა ლიდერებმა მოახერხეს მნიშვნელოვანი ქონების დაგროვება და ქვეყნიდან გატანა. ამგვარი დახმარების აღმოჩენის ფარგლებში, შესაძლებელია საერთაშორისო იურისტებისა და კომპანიების დაქირავება ზემოთ აღწერილ პრობლემებთან გასამკლავებლად.

#### 4. მედეგობაზე ორიენტირებული, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებები: ადამიანებზე ორიენტირებული აღმოსავლეთ პარტნიორობა

- აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების სამოქალაქო საზოგადოებებმა ბევრჯერ დაამტკიცეს, რომ ისინი ისწრაფვიან მნიშვნელოვანი ცვლილებებისკენ აქამდე არსებულ მმართველობაში. ბოლო წლების მოვლენები აღმოსავლეთ პარტნიორობის თითქმის ყველა სახელმწიფოში ადასტურებს მეტი დემოკრატიის, მეტი პოლიტიკური პლურალიზმის, ანგარიშვალდებულებული მთავრობისა და კორუფციის წინააღმდეგ უფრო ძლიერი ბრძოლის მძლავრ სურვილს. მეტი დაფინანსება და ევროკავშირის მხრიდან ძლიერი დიპლომატიური მხარდაჭერა სასიცოცხლოდ აუცილებელია აღნიშნული ტრენდების გასაძლიერებლად.
- შესაბამისად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ევროკავშირმა თანდათანობით გაზარდოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი მედიის დაფინანსება და გააგრძელოს პირობითობის პრინციპის გამოყენება რეგიონის ყველა ხელისუფლების მიმართ. აღნიშნული დაფინანსება უნდა ფოკუსირდეს სამოქალაქო საზოგადოების პროფესიონალიზაციაზე, კვლევითი ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებაზე მიზნობრივი ინსტიტუციური დაფინანსების გზით და გამარტივებული ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტებზე საბაზისო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის (მაგალითად რეგრანტინგი). მედიის მხარდაჭერა კი უნდა ფოკუსირდეს საზოგადოების კრიტიკული აზროვნების ამაღლებასა და მედია ლანდშაფტის ნებისმიერი ფორმით პოლიტიზირების თავიდან აცილებაზე.
- ევროკავშირმა უნდა მოითხოვოს, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა და ჩართულობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება წარმოადგენდეს მმართველობის საკვანძო პრინციპებს აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში მნიშვნელოვნად უნდა დაიძლიოს „ტვინების გადინებისა“ და დემოგრაფიული პრობლემები. ევროკავშირში არსებული დიასპორები შეიცავენ ძლიერ ინტელექტუალურ და/ან ადამიანურ რესურსს, რომელსაც აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოები ევროპეიზაციის პროცესის უზრუნველსაყოფად გაწეული ძალისხმევების არასაკმარისად იყენებენ.
- ევროკავშირმა უნდა წახალისოს და დაუჭიროს სტრუქტურულ დიალოგს ცირკულარული მიგრაციის სქემების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით და ასევე მხარი დაუჭიროს ევროკავშირში არსებული აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების დიასპორის კარგი მმართველობის დღის წესრიგთან დაკავშირებას.



## 5. მდგრადი და ინტეგრირებული ეკონომიკები

- ვაჭრობის მუდმივი ზრდა არასატარიფო ბარიერების შემცირების გზით და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი ასოცირებული სახელმწიფოს ევროკავშირის ერთიანი ბაზრის სისტემაში ინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენს ევროკავშირისა და აღნიშნული სამი ასოცირებული სახელმწიფოს საერთო ინტერესს. მიზანი უნდა იყოს **ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია** და ევროკავშირისთვის გადაუდებელი პრიორიტეტი უნდა გახდეს ყველა სატარიფო კვოტის გაუქმება მნიშვნელოვან ექსპორტზე, როგორცაა პომიდვრის საწებელი, ვაშლის წვენი და სახამებელი უკრაინისთვის; და ქლიავი, ყურძნის წვენი და ვაშლი მოლდოვისთვის. იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობის საქონელზე მოიხსნას არასატარიფო ბარიერები, ასევე საჭიროა **სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების ეკვივალენტობის აღიარების** მხარდაჭერა.
- ევროკავშირის ერთიანი ბაზართან სრული ინტეგრაცია ეკონომიკური ინტეგრაციის გადრმაგების შემდგომ ლოგიკურ ნაბიჯს წარმოადგენს. **ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი სახელმწიფოს მიერ შემდეგი 10 წლის განმავლობაში „ოთხ თავისუფლებაზე“ თანმიმდევრული და სპეციალიზირებული წვდომისთვის ერთობლივი გზამკვლევის შემუშავება** უნდა წარმოადგენდეს საკვანძო მისაღწევ შედეგს.
- **სამრეწველო პროდუქტების შესაბამისობის შეფასებისა და აღიარების შესახებ შეთანხმებების (ACAA)** დადება მოლდოვასა და უკრაინასთან (და მზაობის მქონე სხვა სახელმწიფოებთან), რომლებიც დამოკიდებული იქნება ევროკავშირის მიერ ეროვნული ინსტიტუციური და მარეგულირებელი სტრუქტურების პოზიტიურ შეფასებაზე.
- **ევროკავშირისა და უკრაინას შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განახლებული 27-ე დანართის (ენერჯის შესახებ) ეფექტური იმპლემენტაცია** გაძლიერებული მონიტორინგის უზრუნველყოფასთან ერთად წარმოადგენს მოდელს სხვა სექტორებისთვის.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი ასოცირებული ქვეყანა მიწვეული უნდა იყოს **ენერგორეგულატორების ურთიერთთანამშრომლობის ევროპულ სააგენტოში (ACER)** გასაწევრიანებლად.
- შესაბამისი მზაობის მქონე აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების ინტეგრირება ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორების ევროპულ ქსელსა (ENTSO-E) და **გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორების ევროპულ ქსელში** უზრუნველყოფს მნიშვნელოვან საერთო სარგებელს. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება კონკურენციის დონის ზრდას, ელექტროენერჯით თავისუფალ ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობას, ენერგო სისტემების მაღალი ხარისხის საიმედოობას და ენერჯის დივერსიფიცირებას. არსებობს ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის საჭიროება მოლდოვისა და უკრაინის ევროკავშირის ენერგო ბაზარზე თანმიმდევრული ინტეგრაციისთვის ხელის შესაწყობად.
- **ენერგო უსაფრთხოების მიმართულებით**, ევროპის ენერგეტიკულმა გაერთიანებამ უნდა მოიცვას აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი ასოცირებული სახელმწიფოც (რომლებიც ასევე არიან ენერგოსაზოგადოების წევრები). ერთ-ერთ ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს გაზის მიწოდების პუნქტის გადატანა უკრაინა-რუსეთის საზღვარზე გრძელვადიანი კონტრაქტების ახალი თაობისთვის ევროკავშირის კომპანიებსა და გაზპრომს შორის.
- ასევე ხელი უნდა შეეწყოს სერვისების უფრო დრმა ლიბერალიზაციას: ტელეკომუნიკაციების, სატრანსპორტო სერვისებისა და საფოსტო სერვისების ლიბერალიზაციას მნიშვნელოვნად შეუძლია სავაჭრო და ბიზნეს ურთიერთობების ზრდა.
- უნდა მოხდეს მოლაპარაკება **საგზაო სატრანსპორტო სერვისების შესახებ სპეციალურ შეთანხმებაზე**, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირისა და უკრაინას შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში. საჭიროა შესამჩნევი პროგრესის მიღწევა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებულ სახელმწიფოებს შორის ტრანსპორტის ლიბერალიზაციის მიმართულებით.



- დამაკავშირებელ ინფრასტრუქტურაში ინვესტირება ასევე უნდა დარჩეს საკვანძო პრიორიტეტად. **ძირითადი ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის გაფართოება** აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი ასოცირებული სახელმწიფოსთვის ხელს შეუწყობს მეტ მობილობას და გაზრდილ სატრანსპორტო შესაძლებლობებს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისთვის. ევროკავშირის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ სესხებს, არამედ საგრანტო მხარდაჭერასაც, რომელსაც თან უნდა ახლდეს ანგარიშვალდებულების სათანადო მონიტორინგი.
- **შიდა წყლების** ჩართვა ტრანსევროპულ სატრანსპორტო ქსელში განსაკუთრებულ როლს თამაშობს უკრაინისთვის და საჭიროა დახმარება ევროკავშირის მხრიდან მისი ფუნქციონირებისა და სიცოცხლისუნარიანობისთვის.
- ევროკავშირი-უკრაინისა და ევროკავშირი-მოლდოვას სახმელეთო საზღვრებზე ადამიანებისა და საქონლის გაძლიერებული ორმხრივი გადაადგილებისთვის საჭიროა, მოიხსნას არსებული წინააღმდეგობები **უკრაინასა და მოლდოვას და მეზობელ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი სასაზღვრო კონტროლის შესახებ ორმხრივი შეთანხმებების** ხელმოწერისა და იმპლემენტაციის გზით. ახალი ერთიანი სასაზღვრო კვების პუნქტების გახსნა მნიშვნელოვან მისაღწევ შედეგს წარმოადგენს.
- კიდევ ერთ ფართოდ განხილულ ღონისძიებას წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული სახელმწიფოების გაწევრიანება **ერთიან ევროპულ საგადასახადო სისტემაში**, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს ადამიანებს, რომლებიც მოგზაურობენ და აწარმოებენ ბიზნესს აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის სახელმწიფოებში. ამან შესაძლოა ასევე წვლილი შეიტანოს ზოგიერთი საკვანძო საკითხის მოგვარებაში, როგორცაა ფულის გათეთრება და საბანკო გამჭირვალობა. შესაძლებელია ევროს გადახდის ერთიანი ზონის (SEPA) გავრცობა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონზე საწყისი შეფასების გზით, რომელსაც შემდგომში მოჰყვება სამოქმედო გეგმები, როგორც ეს მოხდა ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმების (VLAPs) შემთხვევაში. სამოქმედო გეგმები უნდა მოიცავდეს პირობითობას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით (რომელიც ჰარმონიზებული იქნება საერთაშორისო მონეტარული ფონდის მიერ განსაზღვრულ ან ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ორგანოს (Moneyval) მიერ შეთანხმებულ პირობებთან), რომელსაც თან უნდა ახლდეს ტექნიკური მხარდაჭერა და ფინანსური ჯილდო აღნიშნული პირობების სწრაფი და ეფექტური იმპლემენტაციისთვის.

## 6. მოქნილი ციფრული ტრანსფორმაცია

- ევროკავშირმა უნდა დააჩქაროს ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის როუმინგის გადასახადების გაუქმება ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე.
- მნიშვნელოვანი ნაბიჯია ციფრული ნდობის სერვისების ორმხრივი აღიარების შეთანხმებების დადება, რომლებიც ხელს შეუწყობს სავაჭრო და ეკონომიკურ თანამშრომლობას საზღვრებსშორისი ელექტრონული სერვისების უზრუნველყოფის, ელექტრონული ხელმოწერის ამოცნობისა და სერვისების გაციფრების გზით.
- ევროკავშირმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებულ სახელმწიფოებზე უნდა გაავრცელოს შიდა ბაზრის რეჟიმი ტელეკომუნიკაციების მომსახურების სექტორში და ეს უნდა დაეფუძნოს აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების მხრიდან ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პოზიტიურ შეფასებას ევროკავშირის მიერ.
- ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზართან მეტი ინტეგრაციისკენ სწრაფვის შედეგად, აღმოსავლეთ პარტნიორობის დაინტერესებულ სახელმწიფოებს უნდა მიეცეთ ევროკავშირის ციფრული, კვლევისა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინოვაციურ პოლიტიკასთან, პროგრამებსა

**და ინიციატივებთან მიერთების შესაძლებლობა** - მათ შორისაა, ევროპის ღია მეცნიერების ბაზა, მაღალი ხარისხის ფუნქციონირების საერთო ევროპული კომპიუტერული სქემა, ხელოვნური ინტელექტის კოორდინირებული გეგმა და უსაფრთხო 5G ტელეკომუნიკაციის ქსელების განთავსება.

- ევროკავშირმა მზადაა მიიღოს ციფრული სერვისის კანონი, რომელიც განაახლებს ელექტრონული ვაჭრობის დირექტივას და მიზნად ისახავს ევროკავშირის ციფრული სერვისების ერთიანი ბაზრის გაძლიერებასა და ევროპული ონლაინ გარემოს ინოვაციურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას. ამ მიმართულებით, **აღმოსავლეთ პარტნიორობის სამმა ასოცირებულმა სახელმწიფომ მხედველობაში უნდა მიიღოს ევროკავშირის ერთიანი ციფრულ ბაზართან თანმიმდევრული ინტეგრაცია და მიიღოს ეროვნული აქტები**, რათა ყველას მიეცეს ციფრულ სამყაროში ჩართვის შესაძლებლობა; შეიზღუდოს მკაფიოდ არაკანონიერი შინაარსის კონტენტის წაშლის მოთხოვნები; მოხდეს ონლაინ პლატფორმების ფუნქციონირების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; მოხდეს ციფრული სერვისების მიერ მიღებული არამართლზომიერი გადაწყვეტილებების კომპენსირების მექანიზმების სარგებლიანობის, ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- ციფრული ინტეგრაცია უნდა დაეფუძნოს **პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ** კანონმდებლობის ჰარმონიზაციას (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR), ევროკავშირის კანონმდებლობისა და ევროპის საბჭოს შესაბამისი კონვენციების ჩათვლით) ევროკავშირის აუცილებელი მხარდაჭერით.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი ასოცირებული სახელმწიფოს ჩართვა **ევროკავშირის ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსში (DESI)** დაეხმარება ამ სახელმწიფოებს თავიანთი ციფრული შესაძლებლობების შეჯამებასა და ციფრული კონკურენტუნარიანობის განვითარების მონიტორინგში.

\*\*\*

არაოფიციალური მოხსენება განკუთვნილია ევროპულ საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS), ევროკომისიის (DG NEAR), ევროპარლამენტის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროებისთვის.

არაოფიციალური ანგარიშის მომზადების პროცესს ფასილიტაცია გაუწია ევროპული პოლიტიკისა და რეფორმების ინსტიტუტმა (IPRE) პარტნიორ კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ევროკავშირიდან, საქართველოდან, მოლდოვასა და უკრაინიდან. ანგარიში მომზადდა ონლაინ [ბრენსტორმინგის სესიის](#) საფუძველზე, რომელიც გაიმართა 2020 წლის 9 ივლისს და რომლის ფარგლებშიც განხილული იყო „აღმოსავლეთ პარტნიორობა შემდეგი ათწლეულის განმავლობაში: ახალი ამბიციური შედეგებისკენ, ფოკუსი საქართველოზე, მოლდოვასა და უკრაინაზე“.

არაოფიციალური ანგარიში მომზადდა ევროკავშირის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ქვემოთ მოცემული მკვლევრებსა და კვლევითი ორგანიზაციების ექსპერტებს შორის პოლიტიკური დიალოგის მიმოცვლის, მათი მხრიდან კონტრიბუციისა და ცვლილებების დადასტურების საფუძველზე:

ალექსანდერ დულეზა, სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკის ასოციაცია (SFPA), ბრატისლავა

ადრიან ლუპუშორი, ექსპერტ-ჯგუფი, კიშინოვი

ანჯელა გრამადა, უსაფრთხოებისა და გლობალური პოლიტიკის ექსპერტი (ESGA), ბუქარესტი  
დენის ჩენუსა, პოლიტიკის მეცნიერების ინსტიტუტის მკვლევარი, იუსტუს-ლიბიგის გისენის  
უნივერსიტეტი, გისენი

დმიტრო შულგა, საერთაშორისო რენესანსის ფონდი (IRF), კიევი

ერიკ სპორტელი, ევროპის უსაფრთხოების სწავლებების ცენტრი (CESS), გრონინგენი

ვიქტორ კირილა, საგარეო პოლიტიკის ასოციაცია (APE), კიშინოვი

ვიორელ ჩიბოტარუ, მოლდოვის პოლიტიკური სწავლებების ევროპული ინსტიტუტი (EIPSM),  
კიშინოვი

ვლადისლავ გრიბინჩა, მოლდოვის იურიდიული რესურსების ცენტრი (CRJM), კიშინოვი

ვლადისლავ კულმინსკი, სტრატეგიული ინიციატივების ინსტიტუტი (IPIS), კიშინოვი

თინათინ ცერცვაძე, ღია საზოგადოების ევროპის პოლიტიკის ინსტიტუტი (OSEPI), ბრიუსელი  
იგორ ჩურე და ვიქტორ გუზუნი, განვითარების ინიციატივების ლაბორატორია (LID მოლდოვა),  
კიშინოვი

ინა კოსერუ, ეროვნული გარემოსდაცვითი ცენტრი, კიშინოვი

ივანე ჩხიკვაძე, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო, თბილისი

იულიან გროზა და მიჰაი მოგილდე, ევროპული პოლიტიკისა და რეფორმების ინსტიტუტი (IPRE),  
კიშინოვი

იან ციგელი და ტომას ბარანეცი, სტრატეგიული ანალიზი, ბრატისლავა

კეტრინ ბოთგარი, ფუნდა თექინი და დომინიკ მაუგია, ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP),  
ბერლინი



კერი ლონგარსტი, კოლეჯიუმ სივიტას, ვარშავა

კორნელი კაკაჩია და რენატა სკარჯუტე-კერესელიძე, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP), თბილისი

ლეო ლიტრა, ახალი ევროპის ცენტრი (NEC), კიევი

ნიკუ პოპესკუ და გუსტავ გრესელი, საგარეო ურთიერთობების ევროპული საბჭო (ECFR), პარიზი და ბერლინი

ნატალია კამბურიანი, სოროსის ფონდი - მოლდოვა, კიშინოვი

ოქტავიან მილევსკი, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია, ვარშავა

პაატა გაფრინდაშვილი, საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), თბილისი

რადუ მაგდინი, სმარტლინკ კომუნიკაციები, ბუქარესტი

სტანისლავ სეკრიერუ, ევროკავშირის უსაფრთხოების სწავლებების ინსტიტუტი (EUISS), პარიზი

სტივენ ბლოკმენსი, მაიკლ ემერსონი და თინათინ ახვლედიანი, ევროპის პოლიტიკის სწავლებების ცენტრი, ბრიუსელი

ფლორან პარმენტიერი, CEVIPOF - Science Po, პარიზი

ქრისტინა გერასიმოვი, საგარეო საქმეთა გერმანული საბჭოს (DGAP) მკვლევარი, ბერლინი

ჰენადი მაკსაკი, საგარეო პოლიტიკის საბჭო „უკრაინული პრიზმა“, კიევი

ჯეიმს ნიქსი, ჩეთემ ჰაუსი, ლონდონი